საქართველოს კანონი

საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზნები და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის (შემდგომში კონტროლის პალატა), როგორც სახელმწიფო საფინანსო-სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის შემოწმებისა და გარე აუდიტის უმაღლესი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს — სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის განხორციელების პრინციპებსა და მიმართულებებს.

2. ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად, ადგენს კონტროლის პალატის უფლებამოსილებას, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

3. კონტროლის პალატა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

4. კონტროლის პალატა აღიარებს უმაღლესი აუდიტორული და მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებს და მათ მიერ დეკლარირებულ ძირითად პრინციპებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა. **კომპლექსური შემოწმება** – ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით და უფლებამოსილებათა ფარგლებში, შემოწმების პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად, შესამოწმებელი ობიექტის საფინანსო - სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის ყოველმხრივი შესწავლა, ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შემოწმებისა და ანალიზის გზით, შემოწმების შედეგებზე კომპლექსური შემოწმების აქტის შედგენით.

ბ. **თემატური შემოწმება** - ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით და უფლებამოსილებათა ფარგლებში, შემოწმების პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად შესამოწმებელი ობიექტის საფინანსო - სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული თემის (საკითხის) შესწავლა, ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შემოწმებისა და ანალიზის გზით, შემოწმების შედეგებზე თემატური შემოწმების აქტის შედგენით.

გ. **გასვლითი ფორმით შემოწმება** - კომპლექსური ან თემატური შემოწმების ჩატარება შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ადგილზე.

დ. **კამერალური ფორმით შემოწმება** - კომპლექსური ან თემატური შემოწმების ჩატარება კონტროლის პალატაში შესამოწმებელი ობიექტიდან მიღებული მასალების საფუძველზე.

ე. **აუდიტი** - ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება, იმ მიზნით, რომ აუდიტორმა გამოხატოს საკუთარი აზრი მათი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი შეიძლება ჩატარდეს ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის ფორმით.

ე.ა. **ფინანსური აუდიტი** - ფინანსური ანგარიშების შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ე.ბ. **შესაბამისობის აუდიტი** - შესამოწმებელი ობიექტის ფინანსურ შედეგებზე გავლენის მქონე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, ხელშეკრულებების მოთხოვნათა დაცვის, აგრეთვე ამ კუთხით ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის შემოწმება.

ე.გ. **ეფექტიანობის აუდიტი** - სახელმწიფო პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების და მართვის სფეროში გაწეული საქმიანობის და მიღებული გადაწყვეტილებების მიზნობრიობის, ეკონომიურობის და ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება.

ა) გარე აუდიტი - დამოუკიდებელი აუდიტი.

ბ. **შიდა აუდიტი** - ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული აუდიტი.

მუხლი 3. კონტროლის პალატის სტატუსი

1. კონტროლის პალატა არის სახელმწიფო საფინანსო-სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის შემოწმებისა და გარე აუდიტის განმახორციელებელი უმაღლესი და დამოუკიდებელი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო.

2. კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. მისი უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. კონტროლის პალატა თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, ობიექტურობის, დამოუკიდებლობის და საჯაროობის პრინციპების საფუძველზე.

4. კონტროლის პალატა არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით, ასევე საკუთარი სიმბოლოები.

5. კონტროლის პალატის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

მუხლი 4. კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზნები

კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზნებია შემოწმებისა და გარე აუდიტის გზით ხელი შეუწყოს - სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას; ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების დაცვას; ფინანსური ანგარიშგებისა, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენებას; სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების, ორგანიზაციების და უწყებების ფინანსური მართვის გაუმჯობესებას.

მუხლი 5. კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა. კანონიერება;

ბ. სახელმწიფოს ინტერესების, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ. ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

დ. საჯაროობა;

ე. უწყებრივი, ფინანსური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა;

ვ. პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

ზ. ეთიკის კოდექსის დაცვა.

თავი II

კონტროლის პალატის საქმიანობა და უფლებამოსილება.

მუხლი 6. კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. გეგმური და არაგეგმური შემოწმების და გარე აუდიტის განხორციელება ამ კანონით დადგენილი პრინციპებისა და უფლებამოსილების ფარგლებში;

2. შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით აქტების ან ცნობების, აუდიტის და სხვა ანგარიშების, დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება;

3. საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებული მოხსენებების, ანგარიშების მომზადება და დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტში წარდგენა;

4. შემოწმებისა და გარე აუდიტის პროცედურებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება, ინფორმაციული მასალების გამოცემა.

მუხლი 7. სპეციალისტები და ექსპერტები

1. კონტროლის პალატა შემოწმებისა და გარე აუდიტის პროცესში უფლებამოსილია მოიწვიოს და/ან ჩართოს სპეციალისტი, ექსპერტი.

2. სპეციალისტი, ექსპერტი არის პირი რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის ან ხელოვნების დარგში, რომელიც მოიწვევა სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და შემოწმებისა და გარე აუდიტისთვის საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად.

3. კონტროლის პალატის ურთიერთობა მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შემოწმებისა და გარე აუდიტის პროცესში სპეციალისტები და ექსპერტები მოქმედებენ ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მუხლი 8. კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლები

1. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში ვრცელდება საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოზე, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

2. კონტროლის პალატა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთ განლაგებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებზე, რომლებზეც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა.

ა. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, კონტროლის პალატა შემოწმებისა და გარე აუდიტის ჩატარების გზით ამოწმებს:

ა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მომზადების, შესრულების და ანგარიშგების კანონიერებას;

ბ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან გადაცემული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების, აგრეთვე მიზნობრივი სუბსიდიების და სუბვენციების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობას და ეფექტიანობას;

გ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის და ეფექტიანობას;

დ. ეროვნული ბანკის საქმიანობას, კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

ე. საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედი საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლობების და ორგანიზაციების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას;

ვ. სახელმწიფო საგადასახადო და საბაჟო სამსახურების საქმიანობას, მათ შორის გადასახადების და გადასახდელების ადმინისტრირების კანონიერებას;

ზ. სახელმწიფოს სხვა მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობას;

თ. საქართველოს ეროვნულ ბანკში და საქართველოში რეგისტრირებულ საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას;

ი. საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას;

კ. სახელმწიფო ქონების მართვის, გამოყენების და განკარგვის კანონიერებას და ეფექტიანობას;

ლ. ან კერძო სამართლის იურიდიული პირების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს და მეტს;

მ. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომლებიც დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან, ამ დაფინანსების ფარგლებში;

ნ. ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის იმ სახელშეკრულებო ვალდებულებასა და სესხს, რომლის გარანტად დგას სახელმწიფო, აგრეთვე მათ საქმიანობას იმ ნაწილში, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ მათთვის საგადასახადო, საბაჟო ან სხვა სახის შეღავათების მინიჭებასთან და ამ შეღავათებით სარგებლობასთან;

4. კონტროლის პალატა, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ატარებს ექსპერტიზას და გასცემს დასკვნებს საფინანსო-სამეურნეო და ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტებზე, აგრეთვე იმ პროგრამებსა და ღონისძიებებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენენ ამ სახსრების ფორმირებაზე;

5. კონტროლის პალატა მის საკონტროლო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ამზადებს და პარლამენტს წარუდგენს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემისა და არსებულის სრულყოფის წინადადებებს.

6. კონტროლის პალატა, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია გამოაქვეყნოს შემოწმების აქტი, ცნობა, აუდიტის ანგარიში (დასკვნა) და სხვა ანგარიშები.

7. კონტროლის პალატა ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს ამ კანონიდან.

8. კონტროლის პალატა უფლებამოსილია მიიღოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა აუდიტის ანგარიშები, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა 20%-დან 50%-მდე წილს (არსებითად მცირე წილი). საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის საფუძველზე კონტროლის პალატა ახორციელებს ამ პუნქტით გათვალისწინებული საწარმოების ეფექტიანობის აუდიტს.

მუხლი 9. კონტროლის პალატის უფლებამოსილებათა შეზღუდვა

კონტროლის პალატა არ არის უფლებამოსილი:

ა. მისცეს შემოწმებისა და აუდიტის ობიექტს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა;

ბ. ჩაერიოს შემოწმებისა და აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში;

გ. ხელი შეუწყოს შემოწმებისა და აუდიტის ობიექტის პოლიტიკურ მიზნებს;

დ. ჩაერიოს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკაში;

ე. გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ეხება შემოწმებისა და აუდიტის ობიექტს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი III
კონტროლის პალატის შემადგენლობა, ორგანიზაცია და სტრუქტურა

მუხლი 10. კონტროლის პალატის შემადგენლობა

1. კონტროლის პალატა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა. იგი შედგება კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატისა და კონტროლის პალატებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

2. კონტროლის პალატის შიდა საქმიანობის საკითხები, საქმის წარმოების წესი, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობანი, შემოწმებისა და გარე აუდიტის მომზადების და ჩატარების ვადები და წესი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება კონტროლის პალატის რეგლამენტით.

მუხლი 11. კონტროლის პალატის მუშაკები

კონტროლის პალატის შემადგენლობა განისაზღვრება მუშაკებით, რომელთა უფლება-მოვალეობა, სოციალური გარანტიები და პასუხისმგებლობა დგინდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 12. კონტროლის პალატის პრეზიდიუმი და მისი უფლებამოსილება

1. კონტროლის პალატაში იქმნება უმაღლესი კოლეგიალური ორგანო – საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი.

2. კონტროლის პალატის პრეზიდიუმში თანამდებობრივად შედიან კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეები. პრეზიდიუმის დანარჩენ სამ წევრს, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ნიშნავს და ათავისუფლებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

3. პრეზიდიუმის სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც.

4. კონტროლის პალატის პრეზიდიუმს თავმჯდომარეობს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

5. საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი განიხილავს და იღებს:

ა. საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს, აგრეთვე სახელმძღვანელო დოკუმენტებს;

ბ. წლიურ საორიენტაციო და კვარტალურ შემოწმების და გარე აუდიტის გეგმებს, აგრეთვე გადაწყვეტილებას არაგეგმური შემოწმების და გარე აუდიტის ჩატარების თაობაზე;

გ. დამტკიცებულ გეგმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხებს;

დ. საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კონტროლის პალატის ბიუჯეტისა და მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობის პროექტს;

ე. კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატისა და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების სტრუქტურას;

ვ. პარლამენტში წარსადგენ ანგარიშებს;

ზ. სპეციალური სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ანგარიშებს;

თ. მნიშვნელოვანი შემოწმების შედეგებს და გარე აუდიტის ანგარიშებს (დასკვნებს) და წყვეტს მათზე შემდგომი რეაგირების საკითხს.

ი. კონტროლის პალატის ეთიკის კოდექსის პროექტს;

6. ისმენს და აფასებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების მუშაობის ანგარიშს.

7. კონტროლის პალატის პრეზიდიუმი წევრების ხმათა უმრავლესობით იღებს დადგენილებას, რომლის რეალიზაცია ხდება კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

8. კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს უფლება აქვთ პრეზიდიუმის სხდომაზე მათი მონაწილეობით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინონ თავიანთი განსაკუთრებული აზრი წერილობით, რომელიც დაერთვის პრეზიდიუმის დადგენილებას.

მუხლი 13. შემოწმებისა და გარე აუდიტის გეგმები

1. კონტროლის პალატა საქმიანობას წარმართავს წლიური საორიენტაციო და კვარტალური შემოწმებისა და გარე აუდიტის გეგმებით.

2 კონტროლის პალატის შემოწმებისა და გარე აუდიტის გეგმებს იღებს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი და ამტკიცებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. გეგმაში გაითვალისწინება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინადადებები.

3. დაუშვებელია შემოწმების, გარე აუდიტის ჩატარება შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებისა და პალატის რეგლამენტით დადგენილი ფორმით დამტკიცებული პროგრამის გარეშე.

მუხლი 14. არაგეგმური საქმიანობა

არაგეგმური შემოწმება და გარე აუდიტი ამ კანონით დადგენილი წესით შეიძლება ჩატარდეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიმართვის საფუძველზე, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების პრეზიდიუმის დადგენილებით.

თავი IV
კონტროლის პალატის მუშაკთა სამართლებრივი სტატუსი

მუხლი 15. კონტროლის პალატის თავმჯდომარე

1. კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

2. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ხუთი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ორ ვადაზე მეტი ხნით.

3. კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნას საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი განათლება და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის, სახელმწიფო აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების ან სამართლის სფეროში.

4. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. კონტროლის პალატის თავმჯდომარე თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.

6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებლობა, არავის აქვს უფლება ჩაერიოს ან ზეგავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებაზე.

7. კონტროლის პალატის თავმჯდომარის არჩევის მომენტიდან, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფენ კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირად უსაფრთხოებას, როგორც მის სამუშაო, ასევე მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

მუხლი 16. კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

1. კონტროლის პალატის თავმჯდომარე:

ა. წარმართავს პალატის მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ. იღებს გადაწყვეტილებას კონტროლის პალატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს წარდგინებით კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე შესაბამისი კანდიდატურების დანიშვნის ან განთავისუფლების შესახებ;

დ. თავმჯდომარეობს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომებს;

ე. ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კონტროლის პალატის მუშაკებს, გარდა ამ კანონით დადგენილი თანამდებობის პირებისა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეები ინიშნებიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით.

ვ. ამტკიცებს საქართველოს კონტროლის პალატის საშტატო განრიგს, თანამდებობათა დასახელებას და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს კონტროლის პალატისათვის დადგენილ მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

ზ. აღძრავს დისციპლინურ წარმოებას კონტროლის პალატის მუშაკთა მიმართ;

თ. ადგენს შემოწმებისა და გარე აუდიტის მოცულობას, ჩატარების ვადასა და ადგილს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

ი. მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების მიზნით გამოსცემს კონტროლის პალატის მუშაკთათვის შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებებს;

კ. წარუდგენს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებულ მოხსენებებსა და ანგარიშებს;

ლ. წარმოადგენს კონტროლის პალატას საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

მ. გამოსცემს ნორმატიულ აქტებს "საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ნ. ამტკიცებს კონტროლის პალატის ეთიკის კოდექსს;

ო. ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ბ. განსაზღვრავს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების ფუნქციურ მოვალეობებს და ახდენს მათზე უფლებამოსილების დელეგირებას;

ჟ. უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომას, ამასთან, მას მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამეტმა, საპარლამენტო კომიტეტმა და კომისიამ;

რ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს კონტროლის პალატის მოხელეებს, აჯილდოებს უწყებრივი ჯილდოებით, სიგელებით, ფულით, ფასიანი საჩუქრებით; საქართველოს პრეზიდენტთან შეაქვს წარდგინება საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლების დაჯილდოების შესახებ;

ს. განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს (პრემია), აგრეთვე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ერთჯერადი დახმარების ოდენობას.

ტ. წყვეტს მოქალაქეების საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხებს;

უ. ახორციელებს ამ კანონითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 17. კონტროლის პალატის თავმჯდომარის სამართლებრივი დაცვა

კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 18. კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები და წესი

1. კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 19. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები

1. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის ერთი - პირველი.

2. კონტროლის პალატის თავმჯდომარე დანიშვნიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს მოადგილეების კანდიდატურებს.

3.კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით.

4. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, ფლობდნენ სახელმწიფო ენას, ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის, სახელმწიფო აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების ან სამართლის სფეროში.

5. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

6. კონტროლის პალატის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის არყოფნის ან უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - ამ კანონის მე-16 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე;

7. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები უფლებამოსილნი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან დაესწრონ საქართველოს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომას.

8. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში აჩერებენ პოლიტიკური პარტიის წევრობას ან სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.

9. კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ხელმძღვანელობენ კონტროლის პალატის საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებებს.

16. კონტროლის პალატის თავმჯდომარის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა წარმოადგენს მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველს. კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, კონტროლის პალატის თავმჯდომარის არჩევამდე, ასრულებენ თავიან უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 20. შემოწმებისა და გარე აუდიტის განმახორციელებელი მუშაკები.

1. შემოწმების უფლების მქონე პირად კონტროლის პალატაში შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას, გავლილი აქვს საკვალიფიკაციო კონკურსი და აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი.

2. აუდიტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და მიღებული აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა და უმაღლეს აუდიტორულ უწყებათა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად – ბუღალტერ-აუდიტორის სერტიფიკატი.

3. კონტროლის პალატის მუშაკების თანამდებობა შეუთავსებელია სხვა საჯარო დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობასთან, ასევე სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისა.

4. კონტროლის პალატის მუშაკი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

5. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეზე, მის მოადგილეებზე, ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეებსა და დეპარტამენტის უფროსებზე.

მუხლი 21. შემოწმების და გარე აუდიტის განმახორციელებელი მუშაკების უფლება-მოვალეობები

1. კონტროლის პალატის შემოწმებისა და გარე აუდიტის განმახორციელებელ მუშაკებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ:

ა. შემოწმებისა და გარე აუდიტის პროცესში მიიღონ ნებისმიერი დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (მათ შორის ელექტრონული ვერსია და სხვა);

ბ. დაუბრკოლებლად შევიდნენ შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტში საჭიროების შემთხვევაში დალუქონ საწყობები, არქივები და სალაროები, გადაიღონ დოკუმენტების ასლები.

გ. შემოწმებისა და აუდიტის პროცესში წამოჭრილი საკითხების გარშემო მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა ნებისმიერი პასუხისმგებელი პირისაგან.

დ. მიიღონ ახსნა-განმარტება შესამოწმებელ საკითხებთან დაკავშირებით;

ე. დადგენილი წესის შესაბამისად შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტში ჩაატარონ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია;

2. კონტროლის პალატის შემოწმებისა და გარე აუდიტის განმახორციელებელი მუშაკები ვალდებულნი არიან:

ა. დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

ბ. შემოწმებისა და გარე აუდიტის დაწყებამდე, ობიექტს ჩააბარონ შემოწმებისა და აუდიტის ჩატარების შესახებ ბრძანება და დამტკიცებული პროგრამა, უფლება-მოვალეობათა ნუსხა.

გ. შემოწმებისა და გარე აუდიტის დროს არ დაუშვან შემოწმებულ ობიექტთა სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების გამჟღავნება.

დ. შემოწმების და გარე აუდიტის შედეგები არ გახადონ საჯარო შესაბამისი აქტის (ცნობის) და ანგარიშის (დასკვნის) გაფორმებამდე;

2. შემოწმებისა და გარე აუდიტის პროცესში მითვისება-გაფლანგვის ან სიყალბის ფაქტის გამოვლენისას დოკუმენტების ორიგინალები დაურთონ თემატური შემოწმების აქტს და მასალები დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ სამართალდამცავ ორგანოებს. დოკუმენტების ორიგინალების დამოწმებული ასლები დატოვონ ობიექტზე.

3. დაიცვან ეთიკის კოდექსი.

3. ამ მუხლით განსაზღვრული მუშაკი:

ა. შემოწმების შედეგებზე ადგენს აქტს ან ცნობას, ხოლო გარე აუდიტის შედეგებზე ანგარიშს (დასკვნას).

ბ. შემოწმებისა და გარე აუდიტის ჩატარებისას არ უნდა ჩაერიოს შესამოწმებელი ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილ მუშაკთა კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა შესამოწმებელი ან აუდიტის ობიექტის ყველა პირისთვის.

5. შემოწმებისა და გარე აუდიტის შედეგების სისწორეზე პირადად აგებს პასუხს შემოწმებისა და გარე აუდიტის განმახორციელებელი მუშაკი.

მუხლი 22. კონტროლის პალატის სხვა მუშაკები

1. გარდა ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირებისა კონტროლის პალატის სხვა მუშაკების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამსახურში მიღების და სამსახურის გავლის წესი დგინდება ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული მუშაკების თანამდებობა შეუთავსებელია სხვა საჯარო დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობასთან, ასევე სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისა. ისინი არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდენ პოლიტიკურ საქმიანობას.

მუხლი 23. კონტროლის პალატის მუშაკთა ეთიკის კოდექსი

1. კონტროლის პალატა იღებს და ამტკიცებს კონტროლის პალატის მუშაკთა ეთიკის კოდექსს, რომელიც ადგენს თანამდებობრივი უფლებამოსილებისა და ფუნქციების განხორციელების დროს მუშაკთა ქცევის წესებსა და ნორმებს.

2. კონტროლის პალატის მუშაკები ვალდებულნი არიან პატივი სცეს და დაიცვან ეთიკის კოდექსი.

3. ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს პირად პასუხისმგებლობას წინამდებარე კანონით და დადგენილი წესით.

თავი V

კონტროლის პალატები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში

მუხლი 24. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეების სამართლებრივი სტატუსი

1. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

2. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

3. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელწიფო ენას, აქვს უმაღლესი განათლება, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის, სახელმწიფო აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების ან სამართლის სფეროში.

4. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.

5. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 25. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. ავტონომიური რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე:

ა. წარმართავს ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, წინამდებარე კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ. წარმართავს ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის საქმიანობას, შემოწმების, აუდიტისა და საორგანიზაციო საკითხებს;

გ. თავმჯდომარეობს პალატის პრეზიდიუმის სხდომებს და ხელს აწერს მის დადგენილებებს;

დ. მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

ე. უფლებამისილია, ხოლო თხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომებს;

ვ. განსაზღვრავს თავისი მოადგილისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციურ მოვალეობებს ;

ზ. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

თ. წყვეტს მოქალაქეების საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხებს;

ი. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს მიმართავს შუამდგომლობით შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მოხელის მიმართ დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ;

კ. წელიწადში ერთხელ საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმს და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს პალატის საქმიანობის შესახებ;

ლ. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსაზღვრავს შემოწმებისა და აუდიტის მოცულობას, ჩატარების ვადას და ადგილს.

მუხლი 26. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერება და განთავისუფლება

ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერებისა და განთავისუფლების საკითხები რეგულირდება ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 27. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე

1. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს შესაბამისი პალატის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

3. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში აჩერებს პოლიტიკური პარტიის წევრობას ან სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.

4. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ხელმძღვანელობს კონტროლის პალატის საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებებს.

მუხლი 28. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის პრეზიდიუმი

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატებში იქმნება კოლეგიალური ორგანო — პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობას, შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე.

2. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის პრეზიდიუმი:

ა. იღებს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე განსახილველად წარსადგენი შემოწმებისა და გარე აუდიტის გეგმის პროექტს;

ბ. შეუძლია განიხილოს მნიშვნელოვანი შემოწმებისა და გარე აუდიტის შედეგები;

გ. იღებს საქართველოს კონტროლის პალატაში და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარსადგენ მათი საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

დ. იხილავს და იღებს საქართველოს კონტროლის პალატაში და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარსადგენ ინფორმაციას ავტონომიური რესპუბნლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიმდინარე და საბოლოო ანგარიშგების შემოწმების შედეგების შესახებ ;

ე. წევრების ხმათა უმრავლესობით იღებს დადგენილებებს;

ვ. მართავს სხდომებს თვეში ერთხელ მაინც.

3. ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს უფლება აქვთ პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი განსაკუთრებული აზრი წარმოადგინონ წერილობით, რომელიც თან ერთვის პრეზიდიუმის დადგენილებას.

მუხლი 29. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის მუშაკები

ამ კანონის VI, XI, XII, XIII თავების მოქმედება შესაბამისად ვრცელდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების მუშაკებზე.

თავი VI
შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტი

მუხლი 30. შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტის უფლებები

1. შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტს უფლება აქვს:

ა. კონტროლის პალატის შესაბამისი ბრძანების, პროგრამის, უფლებამოსილებათა ნუსხის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ დაუშვას კონტროლის პალატის მუშაკი ობიექტზე;

ბ. მიიღოს შემოწმების აქტის ან ცნობის, გარე აუდიტის ანგარიში (დასკვნა) და რეკომენდაციები.

მუხლი 31. შემოწმებისა და აუდიტის ობიექტის თანამდებობის პირთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა

1. შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტის თანამდებობის პირი ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს კონტროლის პალატის მუშაკები სათანადო სამუშაო პირობებით, საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე სამუშაო ოთახით.

ბ. უზრუნველყოს კონტროლის პალატის მუშაკები შემოწმებისა და გარე აუდიტის ჩასატარებლად საჭირო ყველა მოთხოვნილი ინფორმაციით. ამასთან, პირადად აგებს პასუხს მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობაზე, ობიექტურობასა და სისრულეზე;

გ. არ ჩაერიოს საქართველოს კონტროლის პალატის მუშაკის საქმიანობაში, არ შეაფერხოს შემოწმებისა და აუდიტის ჩატარება, ხელი შეუწყოს კონტროლის პალატის მუშაკებს შეამოწმონ დოკუმენტები სამუშაო საათების განმავლობაში, ისე, რომ არ შეაფერხონ შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტის მუშაობა.

2. კამერალური შემოწმების დროს შესაბამის ობიექტს ეგზავნება ბრძანება და შესასწავლი საკითხების პროგრამა. ობიექტის თანამდებობის პირი ვალდებულია კონტროლის პალატის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს სრულყოფილი ანგარიში და დოკუმენტაცია პროგრამაში მითითებულ საკითხთა გარშემო.

3. შესამოწმებელი ობიექტების პასუხისმგებელი პირების მიერ კონტროლის პალატისათვის აუცილებელი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდების მოთხოვნაზე უარი ან თავის არიდება, მცდარი ინფორმაციის წარდგენა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII
აქტები, ცნობები, ანგარიშები და რეკომენდაციები

მუხლი 32. შემოწმების აქტი, ცნობა, აუდიტის ანგარიში (დასკვნა) და რეკომენდაციები

1. ამ კანონით დადგენილი წესით, შემოწმების შედეგებზე დგება აქტი ან ცნობა, ხოლო აუდიტის შედეგებზე - აუდიტის ანგარიში (დასკვნა).

2. კონტროლის პალატის შემოწმების აქტი ან ცნობა წარედგინება შემოწმების ობიექტს, ხოლო დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, აგრეთვე სამართალდამცავ ორგანოებს. კონტროლის პალატა ინფორმაციას შემოწმების შედეგების შესახებ უგზავნის შემოწმების ობიექტზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

3. კონტროლის პალატის გარე აუდიტის ანგარიში (დასკვნა) ეგზავნება - აუდიტის ობიექტს, ობიექტზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს პარლამენტს, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში აგრეთვე სამართალდამცავ ორგანოს.

4. განსაკუთრებულ საკითხებზე კონტროლის პალატა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, შემოწმებისა და გარე აუდიტის ობიექტს, სხვა სახელმწიფო ორგანოებს უგზავნის ინფორმაციას და რეკომენდაციებს. ობიექტის მიერ კონტროლის პალატის რეკომენდაციების გათავლისწინება ან არგათვალისწინება წარმოადგენს ობიექტის პასუხისმგებლობის საგანს.

5. დანაშაულის ნიშნების შემცველი შემოწმების მასალები ეგზავნებათ სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან, სახელმწიფო ფულადი და მატერიალური ქონების დატაცების გამოვლენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ იგზავნება.

მუხლი 33. მიწერილობა, წარდგინება.

1. შესამოწმებელი ობიექტის მხრიდან შემოწმების ჩატარების დროს დაბრკოლებების შექმნის, ასევე კონტროლის პალატის კომპეტენციის ფარგლებში სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება აქვს შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელობას მისცეს მიწერილობა, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად.

2. კონტროლის პალატის მიერ გაგზავნილ მიწერილობას ხელს აწერს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ან შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

3. შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად კონტროლის პალატა წარდგინებას უგზავნის შემოწმებულ ობიექტს ან მის ზემდგომს. წარდგინებას ხელს აწერს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის

4. კონტროლის პალატის წარდგინება სავალდებულოა შესასრულებლად. იგი განხილულ უნდა იქნეს ერთ თვეში, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული. წარდგინების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს კონტროლის პალატას.

5. კონტროლის პალატის კანონიერი მიწერილობისა და წარგინების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება აქვს დასვას საბიუჯეტო ობიექტის ხელმძღვანელობის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი და მისცეს არასაბიუჯეტო ობიექტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს რეკომენდაცია განიხილოს შესაბამისი პირების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

თავი VIII
კონტროლის პალატის ურთიერთობა ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობები.

მუხლი 34. კონტროლის პალატის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან

საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები, ორგანიზაციები, უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სამართალდამცავი ორგანოები, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, მათი საქვეუწყებო დაწესებულები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ვალდებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინონ კონტროლის პალატას საქმიანობის განხორციელებაში.

მუხლი 35. კონტროლის პალატის ურთიერთობა შიდა აუდიტის სამსახურებთან.

კონტროლის პალატას შეუძლია განახორციელოს აუდიტორულ შემოწმებას დაქვემდებარებული ობიექტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ანგარიშგების ანალიზი და დაეყრდნოს მათ, ან გაითვალისწინოს ობიექტი აუდიტორული შემოწმების გეგმაში.

მუხლი 36. კონტროლის პალატის ურთიერთობა საზოგადოებასთან

კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით კონტროლის პალატა ახორციელებს საზოგადოებასთან, საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობას.

მუხლი 37. კონტროლის პალატის საერთაშორისო ურთიერთობები

კონტროლის პალატა უფლებამოსილია დაამყაროს ურთიერთობები, დადოს ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოების იმ ორგანოებსა და მათ საერთაშორისო გაერთიანებებთან, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან.

თავი IX

კონტროლის პალატის ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან

მუხლი 38. მოხსენებები, ანგარიშები და ინფორმაციები

1. კონტროლის პალატა მთავრობის მიერ პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე.

2. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით კონტროლის პალატა, საქართველოს პარლამენტს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე წარუდგენს თავის მოხსენებას. მოხსენებასთან ერთად პარლამენტს წარედგინება კონტროლის პალატის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობის თაობაზე.

3. კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტში წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს მისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის ფინანსურ ანგარიშს. ეს ანგარიში წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი ივნისისა, ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ.

4. კონტროლის პალატის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 39. კონტროლის პალატის საქმიანობის შეჩერება.

ამ კანონის X თავის ამოქმედებამდე, კონტროლის პალატის საქმიანობას ამოწმებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილი დროებითი კომისია.

თავი X
კონტროლის პალატის საქმიანობის შემმოწმებელი დამოუკიდებელი აუდიტორი

მუხლი 40. დამოუკიდებელი აუდიტორი

1. კონტროლის პალატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების მიზნით 4 წლის ვადით ინიშნება დამოუკიდებელი აუდიტორი, მისი კანდიდატურის გადასინჯვისა და შეცვლის უფლებით. დამოუკიდებელი აუდიტორი ინიშნება საქართველოს პარლამენტის მიერ კონტროლის პალატასთან წინასწარი შეთანხმებით.

2. დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნა ხორციელდება ტენდერის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მისი ანაზღაურების საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 41. ყოველწლიური ფინანსური ანგარიში

1. დამოუკიდებელი აუდიტორი კონტროლის პალატის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. კონტროლის პალატის ფინანსური აუდიტის ანგარიში საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ ივნისამდე.

მუხლი 42. დამოუკიდებელი აუდიტორის სხვა მომსახურება

1. კონტროლის პალატის ეფექტიანობის აუდიტი და შესაბამისობის აუდიტი შეიძლება ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის ან თავად კონტროლის პალატის მოთხოვნით.

2. ეფექტიანობის და შესაბამისობის აუდიტზე ანგარიში საქართველოს პარლამენტს უნდა გადაეცეს მისი დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

თავი XI

კონტროლის პალატის მუშაკების სამსახურებრივი ურთიერთობები

მუხლი 43. კონტროლის პალატაში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები

კონტროლის პალატაში მუშაობის დაწყების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები, ამ კანონით განსაზღვრული სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 44. კონტროლის პალატაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

კონტროლის პალატაში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;

გ) სასამართლო წესით ქმედუუნაროდ ან შეზღუდულად ქმედუნარიანად აღიარებული პირი;

დ) სხვა სამუშაოდან მაკომპრომეტირებელი საფუძვლით დათხოვნილი პირი.

მუხლი 45. მუშაკის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

1. კონტროლის პალატის მუშაკის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლით და წესით.

2. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ფორმდება კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 46. კონტროლის პალატის მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება

1. კონტროლის პალატის მუშაკი თანამდებობიდან თავისუფლდება:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, მძიმე დაავადების დროს, რის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;

ბ) დანიშვნის, აგრეთვე შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას;

გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო;

დ) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;

ე) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევის გამო;

ვ) შტატების შემცირებისას;

ზ) საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა სხვა დარღვევის გამო;

თ) საკუთარი ინიციატივით;

ი) კონტროლის პალატის მუშაკთა ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი საიდუმლოს გაცემის კონტროლის პალატის მუშაკისთვის შეუფერებელი სხვა საქციელის გამო;

კ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ლ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

მ) სამსახურში მიღებისას ან თანამდებობაზე დანიშვნისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის;

ნ) საპენსიო ასაკის გამო.

2. კონტროლის პალატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით კონტროლის პალატის მუშაკები შეიძლება ჩაირიცხონ საკადრო რეზერვში.

3. საკადრო რეზერვიდან მუშაკთა დანიშვნა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 47. კონტროლის პალატის მუშაკის პასუხისმგებლობა.

1. კონტროლის პალატის მუშაკი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხს აგებს საერთო წესით.

2. კონტროლის პალატის მუშაკის მიერ დისციპლინური გადაცდომისთვის - პალატისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის, აგრეთვე ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მუშაკისა და პალატის დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის გამო (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მისგან გარეთ, ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის, მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, მის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) საყვედური;

ბ) სასტიკი საყვედური;

გ) ნაკლებანაზღაურებად თანამდებობაზე დაქვეითება არაუმეტეს ერთი წლით;

დ) კონტროლის პალატიდან განთავისუფლება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით;

3. დისციპლინური გადაცდომისთვის კონტროლის პალატის მუშაკი შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ მოქმედებს დისციპლინური სახდელის ნებისმიერი სხვა ზომა.

4. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის ფაქტის დადგენის (აღმოჩენის) დღიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა. ამ ვადაში არ შედის კონტროლის პალატის მოხელის ავადმყოფობისა და შვებულებაში ყოფნის დრო. დისციპლინური სახდელი არ გამოიყენება, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 3 წელი. ამ ვადაში არ შედის სისხლის სამართლის საქმის წარმოების დრო. კონტროლის პალატის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მისი განთავისუფლება ხდება ამ ქმედების ჩადენიდან გასული დროის მიუხედავად.

5. კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, უფლებამოსილია კონტროლის პალატის მუშაკის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის ნებისმიერი ზომა, მათ შორის კონტროლის პალატიდან განთავისუფლება დისციპლინური

[illegible] მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის მუშაკის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარე წარდგინებით მიმართავს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს.

7. კონტროლის პალატის მუშაკის მიერ ჩადენილი ერთი გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

8. დისციპლინური სახდელის დადება ხდება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით. იგი უნდა გააცნონ კონტროლის პალატის მუშაკს, რომელსაც დაედო სახდელი. ბრძანება დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ინახება კონტროლის პალატის მუშაკის პირად საქმეში.

9. კონტროლის პალატის მუშაკი დისციპლინური სახდელის არმქონედ ითვლება, თუ სახდელის დადებიდან გასულია ერთი წელი და მას არ შეეფარდა ახალი სახდელი.

10. კონტროლის პალატის მუშაკს წინათ დადებული დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამ კანონის 50-ე მუხლით დადგენილი წესით. დისციპლინური სახდელი იხსნება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც გააცნობენ კონტროლის პალატის მუშაკს და დაურთავენ მის პირად საქმეს.

მუხლი 48. წახალისება მუშაობაში წარმატებისათვის

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის და სხვა მიღწევებისათვის, კონტროლის პალატის მუშაკის წასახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) წინათ დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

დ) თანამდებობრივი დაწინაურება;

ე) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

თავი XI.

კონტროლის პალატის მუშაკთა სამართლებრივი დაცვა

მუხლი 49. კონტროლის პალატის მუშაკთა სამართლებრივი დაცვა

1. კონტროლის პალატის მუშაკი თავის სამსახურებრივ საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი არ შეიძლება გადაყენებულ იქნეს ან განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და წესისა.

2. კონტროლის პალატის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლა, მისი ღირსების შელახვა, მის მიმართ მუქარა, წინააღმდეგობა, ძალადობა, მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 50. კონტროლის პალატის მუშაკის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

დაუშვებელია კონტროლის პალატის მუშაკის საქმიანობაში ჩარევა სახელმწიფო თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების, მათი წარმომადგენლების, აგრეთვე სხვა პირების მიერ, რომლებიც კანონით არ არიან უფლებამოსილნი ჩაერიონ კონტროლის პალატის მუშაკის საქმიანობაში ან ნებისმიერი ფორმით მოახდინონ მასზე ზემოქმედება, აგრეთვე კონტროლის პალატის მუშაკის საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

თავი XIII

კონტროლის პალატის მუშაკთა სოციალური დაცვა

მუხლი 51. კონტროლის პალატის მუშაკთა სოციალური დაცვა

1. კონტროლის პალატის მუშაკთა სოციალური დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით. მათ სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. კონტროლის პალატის მუშაკი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

3. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის უფროსებს, მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს, აგრეთვე კონტროლის პალატის შემოწმებისა და აუდიტორული საქმიანობის უფლების მქონე მუშაკებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება კონტროლის პალატის იმ მუშაკებზე, რომლებიც განთავისუფლებული არიან ამ კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" და "კ" ქვეპუნქტების საფუძველზე.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ კონტროლის პალატის მუშაკს კომპენსაცია დაენიშნება მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატიდან განთავისუფლებისას სათანადო ორგანოებისთვის მიმართვის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი კონტროლის პალატიდან განთავისუფლების შემდეგ არის საჯარო მოხელე ან იღებს რომელიმე სხვა სახის პენსიას, აგრეთვე ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. კონტროლის პალატის მუშაკი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ზიანი, რომელიც მიადგა კონტროლის პალატის მუშაკს (მისი ოჯახის წევრს) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონით დადგენილი წესით.

7. კონტროლის პალატის მუშაკს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ზიანის დადგომიდან ერთი წლის ვადაში.

მუხლი 52. კომპენსაცია კონტროლის პალატის მუშაკის დაღუპვის ან შრომისუნარიანობის შეზღუდვის გამო

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის უფროსების, მათი მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატის თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე კონტროლის პალატის შემოწმებისა და

ოპერაციულია საქმიანობის უფლების მქონე მუშაკის გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება – 2 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილის სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება – 3 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. იგი იკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ კონტროლის პალატის მუშაკს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში დაინვალიდდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული დახმარება:

ა. შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას - 1 წლის თანამდებობრივი საერგოს ოდენობით;

ბ. შრომისუნარიანობის სრული დაკარგვისას - 2 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ კონტროლის პალატის მუშაკს, რომელსაც ქმედუნარიანობა შეეზღუდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

6. ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა სახელმწიფო კომპენსაციებით და დახმარებებით უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 53. კონტროლის პალატის მუშაკთა შრომის ანაზღაურება

1.კონტროლის პალატის მუშაკის ხელფასი შედგება თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატებისაგან;

2. კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობრივი განაკვეთი არ უნდა იყოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლები;

3. კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთი არ უნდა იყოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლები;

4. კონტროლის პალატის დანარჩენ მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება ამ კანონით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XIV

კონტროლის პალატის დაფინანსება და ქონება

მუხლი 54. დაფინანსება

1. კონტროლის პალატა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. კონტროლის პალატის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ უნდა იყოს გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ მოცულობაზე ნაკლები.

მუხლი 55. სახელმწიფოს მიერ კონტროლის პალატის დაფინანსების უზრუნველყოფა

საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის პალატის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო თანხების გამოყოფა.

მუხლი 56. კონტროლის პალატის ქონება

აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის პალატა საჭირო შენობა-ნაგებობებით, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებითა და სხვა სახელმწიფო ქონებით, რაც აუცილებელია საქართველოს კონტროლის პალატის მიერ თავისი ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად.

თავი XV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 57. კონტროლის პალატის აქტებისა და ანგარიშების გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს შეუძლია კონტროლის პალატის აქტები და ანგარიშები ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს უშუალოდ კონტროლის პალატაში ან სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 58. სასამართლო ხარჯები

კონტროლის პალატა ყველა სახის სასამართლოში საკითხის განხილვისას თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საერთაშორისო არბიტრაჟში საქმის განხილვისას სასამართლო ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 59. ბიუჯეტში თანხების ამოღება

კონტროლის პალატის მიერ შემოწმებისა და გარე აუდიტის შედეგად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სასარგებლოდ გამოვლენილი თანხების დარიცხვას და კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები.

მუხლი 60. ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტები

კონტროლის პალატა, აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას, მოქმედებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, აგრეთვე იყენებს სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

თავი XVI
გარდამავალი დებულებები

მუხლი 61. ძალადაკარგული აქტების ნუსხა

ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად ძალადაკარგულად გამოცხადდეს 1997 წლის 15 აპრილის საქართველოს კანონი "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებები 1997 წელი – 17, 18).

მუხლი 62. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის დებულებები, რომლებიც ეხება კონტროლის პალატის მიერ გარე აუდიტის განხორციელებას, გარდა ეფექტიანობის აუდიტისა, აგრეთვე 60-ე მუხლი და X თავი ძალაში შევიდეს 2009 წლის პირველი ოქტომბრიდან.

3. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ე.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება დაიწყოს 2012 წლის პირველი იანვრიდან.

4. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კონტროლის პალატამ სათანადო ცვლილებები შეიტანოს შესაბამის კანონქვემდებრე აქტებში.

5. ამ კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული ეთიკის კოდექსის მიღება მოხდეს 2009 წლის პირველი ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

№

200-- წლის - - - - -